*ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #---33*

ქ. ბათუმი ,,02" მარტი 2018 წელი

ერთის მხრივ *ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მერის ჯუმბერ ვარდმანიძის სახით, მის:ქ.ბათუმი დიდაჭარის ქ.#23*

(შემდგომში- შემსყიდველი)( შემსყიდველის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ *შპს „ინტერავტო თრეიდინგი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე ბეროშვილის სახით. მის: ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ფეიქრების ქ. N14.*

(შემდგომში- მიმწოდებელი) (მიმწოდებლის დასახელება და იურიდიული მისამართი)

დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (**NAT180001585**) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანები ს HYUNDAI-IX35-ის და HYUNDAI TUCSON-ის შეკეთება და ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 12 000 (თორმეტი ათასი) ლარად (შემდგომში "ხელშეკრულების ფასი"). (CPV50100000 ).

1.გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია"(შემდგომ "შემსყიდველი")-შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომლის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად;

1.4 "მიმწოდებელი"–პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ნუგზარ გორგილაძე.

2.2 კოორდინატორის ფუნქციებია:

2.2.1 გაწეული და/ან გასაწევი მომსახურეობის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება;

2.2.2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3.ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანები ს HYUNDAI-IX35-ის და HYUNDAI TUCSON-ის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება თანახმად მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დანართი N1-ისა.

4.სტანდარტები

4.1.ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ დადგენილ სტანდარტებს.

5.მომსახურების გაწევის პირობები

5.1 მომსახურების გაწევის ადგილი: მიმწოდებლის სერვისცენტრი.

5.2მომსახურების გაწევა განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

5.3მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.4 საგარანტიო პირობები: ა) მომსახურების ფარგლებში შეცვლილი სათადარიგო ავტონაწილები სავალდებულოა იყოს ახალი (არამეორადი) (გარდა ფასების ცხრილი განსაზღვრული მეორადი ნაწილებისა). ბ) მიმწოდებლის მიერ შეცვლილ სათადარიგო ნაწილებზე გარანტია უნდა ვრცელდებოდეს არანაკლებ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, ამასთან, ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი) გაწეული მომსახურების შემთხვევაში: შეცვლილ ახალ სათადარიგო ნაწილებზე გარანტია უნდა ვრცელდებოდეს არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

გ) იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება რომ მიმწოდებლის მიერ არ არის სრულყოფილად გაწეული მომსახურება და/ან შეცვლილი ნაწილი აღმოჩნდა წუნდებული, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოჩენილი ხარვეზი აღმოფხვრას საკუთარიხარჯებით.

დ) მომსახურების გაწევის პროცესში მიმწოდებლის ბრალეულობით ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანების შემთხვევაში, ზიანის აღმოფხვრის ხარჯებს სრულად ანაზღაურებს მიმწოდებელი.

6.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 მიღება–ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება–ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე.

7.ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ,,,მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

7.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოხდება ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

8.1.1 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

8.1.2 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე–7 მუხლით გათვალისწინებული პირობებით;

8.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

8.3.1 მიიღოს გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1.მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება.

8.4.2. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

8.4.3 საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ,,შემსყიდველი" ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

**9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებებისას.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**10.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

10.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასევე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებზე უარის თქმის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტას ვალდებულების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 5%–ს ოდენობით;

10.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება ჯარიმა ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0,20%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული ჯარიმის ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%–ს, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

10.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ვალდებულების დამრღვევ მხარეს ძირითადი ვალდე-ბულებების შესრულებისაგან.

10.5 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება ჯარიმა ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

**11.ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო**

11.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ცალმხრივად ვადამდე შიძლება მოიშალოს (შეწყდეს):

11.2.1 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებისათვის დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში;

11.2.2 თუკი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა;

11.2.3 შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის გაფრთხილების მიუხედავად იმავე პირობის განმეორებით ან/და სხვა პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში;

11.2.4 ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის დადგომამდე აშკარა ხდება, რომ მიმწოდებელი დადგენილ ვადაში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის (შეწყვეტი) საფუძვლები, ხოლო შემსყიდველმა ურთიერთობის გაგრძელება დაუკავშირა ვალდებულების დროულად შესრულებას;

11.3 შემსყიდველი ხელშეკრულების სრული ან ცალკეული შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს შემსრულებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

11.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

**12.დაუძლეველი ძალა (ფორს– მაჟორი)**

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის

(ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

**13.სადაო საკითხების გადაწყვეტა**

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**14.ხელშეკრულების ვადა**

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

**15.განსაკუთრებული პირობები**

15.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3(სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

15.3 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება ,,მიმწოდებელს", ხოლო ორი ინახება შემსყიდველ ორგანიზაციაში.

„შემსყიდველი"

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია
ტელ: (0422)25-91-13, 25-93-27
მის: ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ.#23
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. ,,ლიბერთი ბანკი"
ს.კ. 248428385
ბ/კ: LBRTGE22
ა/ნ #GE88LB0120166231817002

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი
ჯუმბერ ვარდმანიძე

-------------------------------------
(ხელმოწერა/ბეჭედი)

„მიმწოდებელი"

შპს „ინტერავტო თრეიდინგი"
ს/კ 206211936
მის: ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ფეიქრების ქ. N14
ტელ: +995 591 52 00 22
საბანკო რეკვიზიტები
ს.ს. "თიბისი ბანკი"
ბ/კ TBCBGE22
ა/ნ GE53TB1171936020100001

დირექტორი ალექსანდრე ბეროშვილი

-------------------------------------
(ხელმოწერა/ბეჭედი)

## პრეისკურანტი

პრეტენდენტის დასახელება: შპს "ინტერავტო თრეიდინგი"

| # | ავტოსატრანსპორტო საშუალების დასახელება | რაოდ | გამოშვების წელი | მომსახურეობის გაწევის ადგილი | მომსახურეობის გაწევის ვადა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | HYUNDAI TUCSON 2.0 | 1 | 2006 | ბათუმი | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით | |

| # | სათადარიგო ნაწილების დასახელება | რაოდ | ზღვრული ერთ. ფასი | ერთეულზე მომსახურეობის ზღვრული ფასი | ერთ.ფასი | ერთეულზე მომსახურეობის ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზეთის ფილტრი | ცალი | 35 | 5 | 22.75 | 3.25 |
| 2 | წყლის პომპა | ცალი | 400 | 120 | 260.00 | 78.00 |
| 3 | წყლის რადიატორი | ცალი | 1200 | 40 | 780.00 | 26.00 |
| 4 | რადიატორის სარქველი | ცალი | 220 | 20 | 143.00 | 13.00 |
| 5 | კბილებიანი ღვედი | ცალი | 200 | 150 | 130.00 | 97.50 |
| 6 | კბილებიანი ღვედის დამჭიმი N1 | ცალი | 230 | 150 | 149.50 | 97.50 |
| 7 | კბილებიანი ღვედის დამჭიმი N2 | ცალი | 180 | 150 | 117.00 | 97.50 |
| 8 | დინამოს ღვედი | ცალი | 110 | 20 | 71.50 | 13.00 |
| 9 | კონდიციონერის ღვედი | ცალი | 90 | 20 | 58.50 | 13.00 |
| 10 | ჰიდრავლიკის ღვედი | ცალი | 80 | 20 | 52.00 | 13.00 |
| 11 | თერმოსტატი | ცალი | 180 | 40 | 117.00 | 26.00 |
| 12 | ჰაერის ფილტრი | ცალი | 80 | 5 | 52.00 | 3.25 |
| 13 | საწვავის ფილტრი | ცალი | 55 | 20 | 35.75 | 13.00 |
| 14 | გადაცემათა კოლოფის ფილტრი | ცალი | 180 | 30 | 117.00 | 19.50 |
| 15 | ჯვარედინა | ცალი | 160 | 40 | 104.00 | 26.00 |
| 16 | უკანა საყრდენი დისკი | ცალი | 320 | 35 | 208.00 | 22.75 |
| 17 | წინა სტუპიცა | ცალი | 600 | 60 | 390.00 | 39.00 |
| 18 | უკანა მარცხენა სტუპიცა | ცალი | 800 | 60 | 520.00 | 39.00 |
| 19 | წინა მარჯვენა ყუმბარა | კომპლექტი | 1200 | 60 | 780.00 | 39.00 |
| 20 | წინა მარცხენა ყუმბარა | კომპლექტი | 1200 | 30 | 780.00 | 19.50 |
| 21 | შიდა მარჯვენა ყუმბარა | ცალი | 700 | 30 | 455.00 | 19.50 |
| 22 | შიდა მარცხენა ყუმბარა | ცალი | 700 | 30 | 455.00 | 19.50 |
| 23 | გარე მარჯვენა ყუმბარა | ცალი | 650 | 30 | 422.50 | 19.50 |
| 24 | გარე მარცხენა ყუმბარა | ცალი | 650 | 30 | 422.50 | 19.50 |
| 25 | ყუმბარის პილნიკი | ცალი | 50 | 35 | 32.50 | 22.75 |
| 26 | წინა საყრდენი დისკი | ცალი | 200 | 45 | 130.00 | 29.25 |
| 27 | წინა სტუპიცა | ცალი | 600 | 60 | 390.00 | 39.00 |
| 28 | სტუპიცის (ცაპკის) საკისარი | ცალი | 150 | 45 | 97.50 | 29.25 |
| 29 | ჰიდრავლიკის პომპა | ცალი | 1000 | 50 | 650.00 | 32.50 |
| 30 | მარჯვენა ნაკანეჩნიკი | ცალი | 130 | 20 | 84.50 | 13.00 |
| 31 | მარცხენა ნაკანეჩნიკი | ცალი | 130 | 20 | 84.50 | 13.00 |
| 32 | მარჯვენა ნაკანეჩნიკი N1 | ცალი | 130 | 20 | 84.50 | 13.00 |
| 33 | მარცხენა ნაკანეჩნიკი N2 | ცალი | 130 | 20 | 84.50 | 13.00 |
| 34 | უდარნი ნაკანეჩნიკი | ცალი | 180 | 25 | 117.00 | 16.25 |
| 35 | საჭის მექანიზმის პილნიკი | ცალი | 45 | 25 | 29.25 | 16.25 |
| 36 | ხელის მუხრუჭის ტროსი N1 | ცალი | 130 | 25 | 84.50 | 16.25 |
| 37 | ხელის მუხრუჭის ტროსი N2 | ცალი | 130 | 25 | 84.50 | 16.25 |
| 38 | ხელის მუხრუჭის ტროსი N3 | ცალი | 140 | 15 | 91.00 | 9.75 |
| 39 | ხელის მუხრუჭის ხუნდები | კომპლექტი | 200 | 15 | 130.00 | 9.75 |
| 40 | წინა ხუნდები | კომპლექტი | 110 | 15 | 71.50 | 9.75 |
| 41 | უკანა ხუნდები | კომპლექტი | 155 | 15 | 100.75 | 9.75 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 42 | ზედა მარჯვენა გიტარა | ცალი | 300 | 45 | 195.00 | 29.25 |
| 43 | ზედა მარცხენა გიტარა | ცალი | 300 | 45 | 195.00 | 29.25 |
| 44 | ქვედა მარჯვენა გიტარა | ცალი | 370 | 45 | 240.50 | 29.25 |
| 45 | ქვედა მარცხენა გიტარა | ცალი | 370 | 45 | 240.50 | 29.25 |
| 46 | ზედა გიტარის ვტულკა | ცალი | 80 | 35 | 52.00 | 22.75 |
| 47 | ქვედა გიტარის ვტულკა №1 | ცალი | 80 | 35 | 52.00 | 22.75 |
| 48 | ქვედა გიტარის ვტულკა №2 | ცალი | 80 | 35 | 52.00 | 22.75 |
| 49 | ზედა გიტარის შარავოი | ცალი | 120 | 35 | 78.00 | 22.75 |
| 50 | ქვედა გიტარის შარავოი | ცალი | 120 | 35 | 78.00 | 22.75 |
| 51 | მარჯვენა ცაფკა | ცალი | 670 | 45 | 435.50 | 29.25 |
| 52 | მარცხენა ცაფკა | ცალი | 670 | 45 | 435.50 | 29.25 |
| 53 | წინა მარჯვენა ამორტიზატორი | ცალი | 350 | 45 | 227.50 | 29.25 |
| 54 | წინა მარცხენა ამორტიზატორი | ცალი | 350 | 45 | 227.50 | 29.25 |
| 55 | წინა ამორტიზატორის ჩაშკა | ცალი | 170 | 45 | 110.50 | 29.25 |
| 56 | წინა მშრალი ამორტიზატორის რეზინი №1 | ცალი | 30 | 15 | 19.50 | 9.75 |
| 57 | წინა მშრალი ამორტიზატორის რეზინი №2 | ცალი | 30 | 15 | 19.50 | 9.75 |
| 58 | წინა მარჯვენა ლინკა | ცალი | 70 | 20 | 45.50 | 13.00 |
| 59 | წინა მარცხენა ლინკა | ცალი | 70 | 20 | 45.50 | 13.00 |
| 60 | უკანა მარჯვენა ამორტიზატორი | ცალი | 200 | 45 | 130.00 | 29.25 |
| 61 | უკანა მარცხენა ამორტიზატორი | ცალი | 200 | 45 | 130.00 | 29.25 |
| 62 | უკანა მარჯვენა ამორტიზატორის ჩაშკა | ცალი | 150 | 45 | 97.50 | 29.25 |
| 63 | უკანა მარცხენა ამორტიზატორის ჩაშკა | ცალი | 150 | 45 | 97.50 | 29.25 |
| 64 | უკანა ლინკა | ცალი | 80 | 20 | 52.00 | 13.00 |
| 65 | უკანა მშრალი ამორტიზატორის რეზინი | ცალი | 50 | 12 | 32.50 | 7.80 |
| 66 | წინა ბამპერი | ცალი | 1300 | 35 | 845.00 | 22.75 |
| 67 | წინა ბამპერის მარჯვენა სალასკა | ცალი | 120 | 35 | 78.00 | 22.75 |
| 68 | წინა ბამპერის მარცხენა სალასკა | ცალი | 120 | 35 | 78.00 | 22.75 |
| 69 | უკანა ბამპერი | ცალი | 1100 | 25 | 715.00 | 16.25 |
| 70 | უკანა ბამპერის მარჯვენა სალასკა №1 | ცალი | 120 | 25 | 78.00 | 16.25 |
| 71 | უკანა ბამპერის მარცხენა სალასკა №1 | ცალი | 120 | 25 | 78.00 | 16.25 |
| 72 | უკანა ბამპერის მარჯვენა სალასკა №2 | ცალი | 120 | 25 | 78.00 | 16.25 |
| 73 | უკანა ბამპერის მარცხენა სალასკა №2 | ცალი | 120 | 25 | 78.00 | 16.25 |
| 74 | უკანა ბამპერის მარჯვენა სალასკა №3 | ცალი | 120 | 25 | 78.00 | 16.25 |
| 75 | უკანა ბამპერის მარცხენა სალასკა №3 | ცალი | 500 | 50 | 325.00 | 32.50 |
| 76 | აბლიცოვკა | ცალი | 800 | 50 | 520.00 | 32.50 |
| 77 | წინა მარჯვენა ფრთა | ცალი | 400 | 50 | 260.00 | 32.50 |
| 78 | წინა მარცხენა ფრთა | ცალი | 400 | 25 | 260.00 | 16.25 |
| 79 | წინა მარჯვენა პადკრილნიკი | ცალი | 200 | 25 | 130.00 | 16.25 |
| 80 | წინა მარცხენა პადკრილნიკი | ცალი | 200 | 25 | 130.00 | 16.25 |
| 81 | კაპოტის მარჯვენა პეტლი | ცალი | 120 | 15 | 78.00 | 9.75 |
| 82 | კაპოტის მარცხენა პეტლი | ცალი | 120 | 15 | 78.00 | 9.75 |
| 83 | კაპოტი | ცალი | 1200 | 90 | 780.00 | 58.50 |
| 84 | წინა საქარე მინა | ცალი | 700 | 90 | 455.00 | 58.50 |
| 85 | საქარე მინის მარჯვენა კანტი | ცალი | 180 | 25 | 117.00 | 16.25 |
| 86 | საქარე მინის მარცხენა კანტი | ცალი | 180 | 25 | 117.00 | 16.25 |
| 87 | წინა მარცხენა კარის მინა | ცალი | 450 | 35 | 292.50 | 22.75 |
| 88 | წინა მარჯვენა კარის მინა | ცალი | 450 | 35 | 292.50 | 22.75 |
| 89 | წინა მარცხენა კარი | ცალი | 700 | 25 | 455.00 | 16.25 |
| 90 | წინა მარჯვენა კარი | ცალი | 700 | 25 | 455.00 | 16.25 |
| 91 | უკანა მარცხენა კარის მინა | ცალი | 450 | 35 | 292.50 | 22.75 |
| 92 | უკანა მარჯვენა კარის მინა | ცალი | 450 | 35 | 292.50 | 22.75 |
| 93 | უკანა მარცხენა კარი | ცალი | 700 | 25 | 455.00 | 16.25 |
| 94 | უკანა მარჯვენა კარი | ცალი | 700 | 25 | 455.00 | 16.25 |
| 95 | საბარგულის კარი | ცალი | 1200 | 35 | 780.00 | 22.75 |
| 96 | საბარგულის (უკანა) მინა | ცალი | 700 | 90 | 455.00 | 58.50 |
| 97 | წინა მარჯვენა ფარი | ცალი | 500 | 35 | 325.00 | 22.75 |
| 98 | წინა მარცხენა ფარი | ცალი | 500 | 25 | 325.00 | 16.25 |
| 99 | წინა მარჯვენა სანისლე ფარი | ცალი | 200 | 25 | 130.00 | 16.25 |
| 100 | წინა მარცხენა სანისლე ფარი | ცალი | 200 | 25 | 130.00 | 16.25 |
| 101 | მარჯვენა სარკის ციმციმა | ცალი | 200 | 25 | 130.00 | 16.25 |
| 102 | მარცხენა სარკის ციმციმა | ცალი | 200 | 25 | 130.00 | 16.25 |
| 103 | უკანა მარჯვენა ფარი | ცალი | 400 | 25 | 260.00 | 16.25 |
| 104 | უკანა მარცხენა ფარი | ცალი | 400 | 25 | 260.00 | 16.25 |
| 105 | საბარგულის მარჯვენა ფარი | ცალი | 200 | 25 | 130.00 | 16.25 |
| 106 | საბარგულის მარცხენა ფარი | ცალი | 200 | 20 | 130.00 | 13.00 |
| 107 | უკანა მარჯვენა ამრეკლი | ცალი | 180 | 15 | 117.00 | 9.75 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 108 | უკანა მარცხენა ამრეკლი | ცალი | 200 | 15 | 130.00 | 9.75 |
| 109 | საქარე მინის მარჯვენა საწმენდი | ცალი | 60 | 5 | 39.00 | 3.25 |
| 110 | საქარე მინის მარცხენა საწმენდი | ცალი | 60 | 5 | 39.00 | 3.25 |
| 111 | საქარე მინის საწმენდის რეზინი | კომპლექტი | 150 | 5 | 97.50 | 3.25 |
| 112 | უკანა მინის საწმენდი | ცალი | 80 | 5 | 52.00 | 3.25 |
| 113 | უკანა მინის საწმენდის რეზინი | ცალი | 30 | 5 | 19.50 | 3.25 |
| 114 | წყლის მარჯვენა მისასხმელი | ცალი | 120 | 25 | 78.00 | 16.25 |
| 115 | წყლის მარცხენა მისასხმელი | ცალი | 120 | 25 | 78.00 | 16.25 |
| 116 | წყლის მარჯვენა მისასხმელის პლასტმასი | ცალი | 50 | 12 | 32.50 | 7.80 |
| 117 | წყლის მარცხენა მისასხმელის პლასტმასი | ცალი | 50 | 12 | 32.50 | 7.80 |
| 118 | მარჯვენა სარკე | ცალი | 500 | 35 | 325.00 | 22.75 |
| 119 | მარცხენა სარკე | ცალი | 500 | 25 | 325.00 | 16.25 |
| 120 | მარჯვენა სარკის მინა | ცალი | 200 | 25 | 130.00 | 16.25 |
| 121 | მარცხენა სარკის მინა | ცალი | 200 | 15 | 130.00 | 9.75 |
| 122 | მარჯვენა სარკის ხუფი | ცალი | 200 | 15 | 130.00 | 9.75 |
| 123 | მარცხენა სარკის ხუფი | ცალი | 200 | 15 | 130.00 | 9.75 |
| 124 | კონდიციონერის ფილტრი | ცალი | 70 | 20 | 45.50 | 13.00 |
| 125 | კონდიციონერის რადიატორი | ცალი | 800 | 55 | 520.00 | 35.75 |
| 126 | გაბარიტის ნათურა | ცალი | 20 | 5 | 13.00 | 3.25 |
| 127 | სტოპის ნათურა | ცალი | 20 | 5 | 13.00 | 3.25 |
| 128 | ქსენონის ნათურა | ცალი | 120 | 25 | 78.00 | 16.25 |
| 129 | ქსენონის ბლოკი | ცალი | 400 | 40 | 260.00 | 26.00 |
| 130 | ნათურა H11 | ცალი | 30 | 5 | 19.50 | 3.25 |
| 131 | ნათურა H7 | ცალი | 30 | 5 | 19.50 | 3.25 |
| 132 | ნათურა HB4 | ცალი | 40 | 5 | 26.00 | 3.25 |
| 133 | ნათურა HB3 | ცალი | 30 | 5 | 19.50 | 3.25 |
| 134 | ნათურა H3 | ცალი | 20 | 5 | 13.00 | 3.25 |
| 135 | ნათურა H1 | ცალი | 15 | 5 | 9.75 | 3.25 |
| 136 | ჰაერმზომი | ცალი | 500 | 5 | 325.00 | 3.25 |
| 137 | ამორტიზატორის ზედა ბალიში წინა | ცალი | 200 | 45 | 130.00 | 29.25 |
| 138 | ამორტიზატორის ზედა ბალიში უკანა | ცალი | 200 | 45 | 130.00 | 29.25 |
| 139 | ძრავის ზეთი ნახევრადსინთეტიკა | ლიტრი | 20 | 5 | 13.00 | 3.25 |
| 140 | ძრავის ზეთი სინთეტიკა | ლიტრი | 25 | 5 | 16.25 | 3.25 |
| 141 | ძრავის ზეთი მინერალი | ლიტრი | 15 | 5 | 9.75 | 3.25 |
| 142 | საწვავის ტუმბო | ცალი | 320 | 80 | 208.00 | 52.00 |
| 143 | ნახევარ ღერძის საკისარი უკანა | ცალი | 180 | 55 | 117.00 | 35.75 |
| 144 | მორგვის საკისარი წინა | ცალი | 700 | 45 | 455.00 | 29.25 |
| 145 | დამჭიმის ამორტიზატორი | ცალი | 320 | 45 | 208.00 | 29.25 |
| 146 | გენერატორი | ცალი | 1500 | 45 | 975.00 | 29.25 |
| 147 | გენერატორის დიოდები | კომპლექტი | 300 | 45 | 195.00 | 29.25 |
| 148 | გენერატორის რელე | ცალი | 300 | 35 | 195.00 | 22.75 |
| 149 | გენერატორის საკისარი | ცალი | 50 | 35 | 32.50 | 22.75 |
| 150 | გენერატორის შკივი | ცალი | 400 | 35 | 260.00 | 22.75 |
| 151 | დროსელის საკეტის სენსორი | ცალი | 180 | 5 | 117.00 | 3.25 |
| 152 | ელასტიური ქურო | ცალი | 350 | 45 | 227.50 | 29.25 |
| 153 | ფრეონი 100 გრამი | 100 გრამი | 18 | 5 | 11.70 | 3.25 |
| 154 | გადაცემათა კოლოფის ჩობალი | ცალი | 90 | 35 | 58.50 | 22.75 |
| 155 | გადაცემათა კოლოფის საყრდენი ბალიში | ცალი | 250 | 35 | 162.50 | 22.75 |
| 156 | გენერტაორის ღვედის როლიკი | ცალი | 250 | 45 | 162.50 | 29.25 |
| 157 | ჰიდრო ტუმბო | ცალი | 1700 | 60 | 1105.00 | 39.00 |
| 158 | ჩიბუხი | კომპლექტი | 250 | 30 | 162.50 | 19.50 |
| 159 | ანთების კოჭა | ცალი | 250 | 10 | 162.50 | 6.50 |
| 160 | ჰიდრო ტუმბოს შკივი | ცალი | 400 | 50 | 260.00 | 32.50 |
| 161 | კაპოტის საკეტი ენა | ცალი | 250 | 25 | 162.50 | 16.25 |
| 162 | კარდანი | ცალი | 3200 | 60 | 2080.00 | 39.00 |
| 163 | კარტერის საფენი | ცალი | 90 | 120 | 58.50 | 78.00 |
| 164 | კატალიზატორის სენსორი | ცალი | 200 | 25 | 130.00 | 16.25 |
| 165 | კონდინციონერის კომპრესორი | ცალი | 1700 | 55 | 1105.00 | 35.75 |
| 166 | კონდინციონერის ღვედის გორგოლაჭი | ცალი | 90 | 45 | 58.50 | 29.25 |
| 167 | მაყუჩი უკანა | ცალი | 550 | 35 | 357.50 | 22.75 |
| 168 | მინის საწმენდების ელ ძრავა | ცალი | 400 | 50 | 260.00 | 32.50 |
| 169 | სტაბილიზატორის კრონშტეინი | ცალი | 90 | 25 | 58.50 | 16.25 |
| 170 | სტაბილიზატორის მილისა წინა | ცალი | 40 | 25 | 26.00 | 16.25 |
| 171 | მთავარი წევა | ცალი | 250 | 25 | 162.50 | 16.25 |
| 172 | მუხლა ლილვას ამთვლელი სენსორი | ცალი | 250 | 80 | 162.50 | 52.00 |
| 173 | ძრავის საყრდენი | ცალი | 250 | 25 | 162.50 | 16.25 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 174 | რადიატორის სამაგრი | ცალი | 65 | 35 | 42.25 | 22.75 |
| 175 | რედუქტორი უკანა | ცალი | 3100 | 190 | 2015.00 | 123.50 |
| 176 | რედუქტორი წინა | ცალი | 3100 | 250 | 2015.00 | 162.50 |
| 177 | სარკეების მარეგულირებელი ღილაკი | ცალი | 450 | 55 | 292.50 | 35.75 |
| 178 | საჭის ჯვარედინა | ცალი | 140 | 120 | 91.00 | 78.00 |
| 179 | საჭის მექანიზმი | ცალი | 1800 | 180 | 1170.00 | 117.00 |
| 180 | საჭის ღერძი | ცალი | 650 | 65 | 422.50 | 42.25 |
| 181 | სცეპლენიის ავზი | ცალი | 900 | 45 | 585.00 | 29.25 |
| 182 | ამძრავი | ცალი | 1800 | 45 | 1170.00 | 29.25 |
| 183 | სტერჟინი წინა | ცალი | 80 | 12 | 52.00 | 7.80 |
| 184 | საჭის წევის დაბოლოება | ცალი | 110 | 20 | 71.50 | 13.00 |
| 185 | ძრავის ჩობალი უკანა | ცალი | 40 | 80 | 26.00 | 52.00 |
| 186 | ძრავის ჩობალი წინა | ცალი | 60 | 300 | 39.00 | 195.00 |
| 187 | ძრავის ღვედის დამჭიმი როლიკი | ცალი | 250 | 120 | 162.50 | 78.00 |
| 188 | ძრავის საფარი ფარი | ცალი | 450 | 45 | 292.50 | 29.25 |
| 189 | ძრავის სარქვლის ჩობალი | ცალი | 25 | 350 | 16.25 | 227.50 |
| 190 | საყრდენი დისკოს მოხეხვა | ცალი | - | 30 | - | 19.50 |
| 191 | ელ. დიაგნოსტიკა | ცალი | - | 35 | - | 22.75 |
| 192 | ანტიფრიზი | ლიტრი | 10 | 5 | 6.50 | 3.25 |
| 193 | ბურთულა სახსარი ქვედა | ცალი | 130 | 35 | 84.50 | 22.75 |
| 194 | ბურთულა სახსარი ზედა | ცალი | 130 | 35 | 84.50 | 22.75 |
| 195 | ძრავის სარქველი შემშვები | ცალი | 45 | 350 | 29.25 | 227.50 |
| 196 | ძრავის სარქველი გამშვები | ცალი | 45 | 350 | 29.25 | 227.50 |
| 197 | გენერატორის ღვედის დამჭიმი გორგოლაჭი | ცალი | 280 | 60 | 182.00 | 39.00 |
| 198 | გენერატორის ღვედის ამყოლი გორგოლაჭი | ცალი | 200 | 40 | 130.00 | 26.00 |
| 199 | დიზელის გამათბობელი სპირალი | ცალი | 90 | 50 | 58.50 | 32.50 |
| 200 | გადაცემათა კოლოფის ზეთი | ლიტრი | 20 | 5 | 13.00 | 3.25 |
| 201 | საჭის ჰიდროგამაძლიერებლის ზეთი | ლიტრი | 20 | 5 | 13.00 | 3.25 |
| 202 | ხიდის ზეთი | ლიტრი | 20 | 5 | 13.00 | 3.25 |
| 203 | სამუხრუჭე სითხე | ლიტრი | 20 | 5 | 13.00 | 3.25 |
| 204 | კონდინციონერის კომპრესორის ზეთი | 10 გრამი | 20 | - | 13.00 | - |
| 205 | სამუხრუჭე სისტემის დაჰაერება | კომპლექტი | - | 15 | - | 9.75 |
| 206 | ანთების სანთელი | ცალი | 25 | 10 | 16.25 | 6.50 |
| 207 | რაზვალის გასწორება | ცალი | - | 20 | - | 13.00 |
| 208 | საბურავების დაშლა აწყობა ბალანსირება | ცალი | - | 12 | - | 7.80 |
| 209 | დისკის გასწორება | ცალი | - | 35 | - | 22.75 |
| 210 | გადაცემათა კოლოფის მოხსნა დაყენება | ცალი | - | 350 | - | 227.50 |
| 211 | დიფუზორი | ცალი | 350 | 45 | 227.50 | 29.25 |
| 212 | დროსელის გაწმენდა | ცალი | 10 | 30 | 6.50 | 19.50 |
| 213 | მაყუჩის ბალიში | ცალი | 50 | 5 | 32.50 | 3.25 |
| 214 | პლასმასის სამუშაოები | 1სმ | - | 5 | - | 3.25 |
| 215 | პროპელერი | ცალი | 400 | 35 | 260.00 | 22.75 |
| 216 | საბურავის შეკეთება | ცალი | - | 25 | - | 16.25 |
| 217 | სავალი ნაწილის შეზეთვა | კომპლექტი | - | 20 | - | 13.00 |
| 218 | სტუპიცის სალნიკი | ცალი | 90 | 40 | 58.50 | 26.00 |
| 219 | სტუპიცის მორგვი | ცალი | 900 | 45 | 585.00 | 29.25 |
| 220 | სუპორტი | ცალი | 850 | 35 | 552.50 | 22.75 |
| 221 | სუპორტის აღდგენა | ცალი | - | 150 | - | 97.50 |
| 222 | ტორპედო | ცალი | 1500 | 200 | 975.00 | 130.00 |
| 223 | უკანა ბრეზგავიკი | ცალი | 140 | 25 | 91.00 | 16.25 |
| 224 | უკანა პოლუოსი | ცალი | 600 | 45 | 390.00 | 29.25 |
| 225 | უკანა სამუხრუჭე შლანგი | ცალი | 150 | 25 | 97.50 | 16.25 |
| 226 | უკანა ჩულოკი | ცალი | 1500 | 250 | 975.00 | 162.50 |
| 227 | უკანა ხიდი | ცალი | 3000 | 300 | 1950.00 | 195.00 |
| 228 | წინა კარდანი | ცალი | 1200 | 35 | 780.00 | 22.75 |
| 229 | წინა სამუხრუჭე შლანგი | ცალი | 150 | 25 | 97.50 | 16.25 |
| 230 | წყლის ავზი | ცალი | 200 | 35 | 130.00 | 22.75 |
| 231 | წყლის რადიატორის ავზი | ცალი | 200 | 35 | 130.00 | 22.75 |
| 232 | ელექტროობის შეკეთება | ცალი | 200 | 200 | 130.00 | 130.00 |
| 233 | მიწის ამწე მექანიზმის აღდგენა | ცალი | 160 | 160 | 104.00 | 104.00 |
| | ჯამი | | **82978** | **10910** | 53935.70 | 7091.50 |
| | საერთო ჯამი | | **93888** | | **61027.20** | |

შპს "ინტერავტო თრეიდინგი"-ს
დირექტორი
ალექსანდრე ბეროშვილი

შპს "ინტერავტო თრეიდინგი" * LLC "INTERAUTO TRADING" * 206211936

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი

02 მარტი 2018 წ.

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ მითითებული პირი ხელისმოწერით ადასტურებს, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანები ს HYUNDAI-IX35-ის და HYUNDAI TUCSON-ის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით 2018 წლის 31 იანვარს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში აუქციონის გარეშე (სატენდერო განცხადება **NAT180001585**), რომელშიც გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია შპს „ინტერავტო თრეიდინგი", მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

**ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ზედამხედველი):**

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი: ნუგზარ გორგილაძე